მონიშნე ინსტრუქციის ის ნაწილები, რომლის დაცვა დაგჭირდა დღეს

უსაფრთხოების წესები სასკოლო საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში მუშაობის პროცესში

ყურადღებით წაიკითხეთ ყველა ინსტრუქცია. თუ რომელიმე ინსტრუქცია ან პროცედურა გაუგებარია, სამუშაოს დაწყების წინ ჰკითხეთ მასწავლებელს.

არასოდეს იმუშაოთ ლაბორატორიაში უფროსის თანდასწრების გარეშე.

ლაბორატორიაში მუშაობის დროს უნდა გეცვათ დახურული ფეხსაცმელი. გრძელი თმა უნდა შეიკრათ და არ გამოიყენოთ დიდი ზომის სამკაული.

ლაბორატორიაში ნებისმიერ დროს აკრძალულია ჭამა და სმა. არ გამოიყენოთ ლაბორატორიული ჭურჭელი საჭმლის შესანახად.

მოერიდეთ ნივთიერებების ორთქლის შესუნთქვას. დაუშვებელია ნივთიერებების შეხება, დაყნოსვა ან გასინჯვა.

ნებისმიერ ელექტრულ ხელსაწყოსთან მუშაობის შემთხვევაში ხელები უნდა გქონდეთ მშრალი.

გამოყენების წინ აუცილებლად შეამონმეთ მინის ჭურჭელი, რათა არ იყოს დაზიანებული ან გაბზარული.

პირადი უსაფრთხოების მიზნით აუცილებელია ლობორატორიული სამუშაოების შესრულების დროს ატაროთ ხალათი, დამცავი სათვალე, გამოიყენოთ დამცავი ხელთათმანები.

ნებისმიერი შემთხვევის შესახებ დაუყოვნებლივ შეატყობინეთ მასწავლებელს.

გაცხელების დროს არასოდეს მიმართოთ სინჯარის პირი თქვენკენ ან სხვისკენ.

დაუშვებელია ლაბორატორიაში სირბილი და თამაში.

დარწმუნდით, რომ ზუსტად იცით, სად მდებარეობს პირველადი დახმარების ნაკრები, ცეცხლსაქრობი, უსაფრთხოების შხაპი, თვალების დასაბანი.

თუ რომელიმე ნივთიერება დაგესხათ კანზე, სასწრაფოდ ჩამოიბანეთ დიდი რაოდენობით წყლით.

ლაბორატორიული სამუშაოს დამთავრების შემდეგ ყველაფერი დააბრუნეთ თავის ადგილზე. დაასუფთავეთ სამუშაო მაგიდა. დაიბანეთ ხელები საპნით. გამორთეთ ელექტრული ხელსაწყოები.

LIVEWORKSHEETS